

F 24  
1887

# თეატრი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელს

№ 4

თეატრი 1.

გაცემი ღირს: ერთიან წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 პ-ს ელის მიწერა მიიღება: თბილისში რედაქტ. კანცორაში. ფოთმი ბესარ. კალანჩაძესთან. აღრესი გარეშე მცხოვრებთა თვის თიფლის, ხელის რედაქტორის წიგნის მაღაზიაში; ხიდის უკრთამ: ალიხანოვის პავილონის მაღაზიაში. ჭურაშე: ჭილაძე წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-მანქრ არსენასთან.

საგაფეთოდ დაინულებო წერილები (კორესპონდენცია) გარევივით უნდა იყოს დაწერილი. ოუ საჭიროება მოიხსენის წერილებს რედაქტორი ვერ-სწორებს. რედაქტორი არა კისრელობს წერილების ვან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

უკველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-ცხოვრებელი აღგილი დამწერისა.

გისაც ხელის მოსაწერი ფული ჭერ არ წარმოუდგენია და მომავალ შესათამაშე არ წარმოადგენს, იმას უემდეგი ნომერი არ გაეგზავნება.

რედაქციის კანტორა გადატანების: ოქრომჭედლების გუჩიზე ბარისოვის სახლებში № 48.

ზოგი ერთი შირნი დასაბეჭდს და სხვა წერილებს თავის ნაცნობების სახელზე ჰგავნიან და მათ მოაქვთ რედაქციაში, ამის შემდეგ არც ერთი წერილი არ დაიბეჭდება, რომელიც შემ-დაგი ადრესით არ იქნება გამოგზავნილი: Серебрян. ულ. ა. № 48, Барисова.

**ჩ**ენ შევიტყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენი  
საუგარელი და ნიჭიერი პოეტი აკაკის ოცდა  
წეთი წლის იუბილეის გამართვას აპირებენ.  
სასურველია რომ ამ ფრიად სასიამოვნო  
დღესასწაულობაში შევლა ქართველმან მო-  
ნაწილეობა მიიღოს. ამ დღეს ჩვენი დრა-  
მატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება  
იუბილიარის დრამა „თაშარ ცხიერი.“

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში იქნება  
სურათი და მოკლე ბიოგრაფია ჩვენი სასე-  
ლოვანი პოეტის აკაკისა.

კიდრე ადამისა და ევას  
გააჩენდა თურმე ღმერთი,  
მზე და მთვარე ჰერმენობდნენ ლხენას  
და უევარდათ ერთმან — ერთი.

სიკვარულობდნენ, ხარობდნენ,  
მარტად ერთად მოგზავრობდნენ;  
მოელს ქვეყანას უხვსა სხივებს  
არ აკლებდნენ, მოაფენდნენ.

მათი მკურნალი, სანატორეული  
არ უოფილა კიდევ სხვაცა;  
ტბებოდა უკელა მნახველი,  
ქვევით მიწა, და ზევით ცა.

მავრამ როდესაც მიწასედ,  
ბოროტება უცებ გაჩნდა  
და ისილა ძაღლა ცასედ,  
მთებრე და შე რომ ერთად სჩნდა,

ცილის წამება, განკიცხვა  
დაუწეო მათ მეგობრობას;  
მოსცხო ჩირქი და ტალახი,  
მათს სიუბრულე და ერთობა.

მისმა ენამ მზე მთვარესა  
დააშორა სამუდამოთ;  
შიშით ერთის მეორესა  
ნასვა აღარ აქვთ სამოთ.

—  
მას აქეთ ცალ-ცალკე ღადის  
მზე და მთვარე თავის გზაზედ  
და როდესაც ერთი ჩადის,  
თავს აჩენს მეორე ცაზედ.

—  
იშვიათად თუ მოსდება,  
შეხვდებიან ერთმან — ერსთა,  
მზე აქნთება, წითლდება,  
მთვარე კრთება, ჰყარგავს ფერსა...

—  
ჩვენც, ძვირფასო ცილი ბეჭამეს,  
ბოროტ ენით ღავეაშორეს;  
მოგვაკლეს გულის სიამეს,  
ვერ ვსედავთ ერთი მეორეს.

—  
მაგრამ ჩემს გულში შენს სახეს  
გატარებ ბნელს სიცოცხლეში;  
მოვკვდები, ხელს არ ავიღებ,  
სავიუოლებ სამარეში.

ლ. ლ—ქ.

## მოკლე პიოზრაული ცენტრი.

გოლტერი.

გაგრძელება.(\*)

ერთი უმთავრესი მიზეზი კოლტერის გავლენისა უოგელ გერმანიულ დოკუმენტების წოდებებზე, უთუთ ის იყო, რომ მის ნაწერებში გვხვდან მოსხანდა უზომით სიუკარული კაცობრიობისადმი,— ამის უარ მეოფელნია ან სრულებით უმეტარნი უნდა იუნინ ან განძრას თვალებს იხუჭამდნენ. გოლტერმა კაცის ნაეღულებებითა ბრძოლას შესწირა მოვდით თავის სიცოცხლე. გოლტერის სიცოცხლი— კილვა და სხვა უდიდესი სიუკარული იყო. უოგელს მის ნაწერებში მკითხველი შეხვდება ასეთს ბატიოსას სიტუაციას, როგორც: „მე მწამს ღმერთი და მიუვარს კაცობრიობა; აი ეს არის ჩემი რწმუნება.“—

რაცენ შეეხება გოლტერის ფილოსოფიას რწმუნებაზე: მისს მიმართულებას უფრო ატეისტური სასიათი აქვს...

ამისა გარდა გოლტერის ფილოსოფიას აქვს ერთი დაუფლებებული თვისება— სიცოცხლე, რომელსაც ხანდისხან უფრო მხიარულება ეტეობა, მას არ სკუროდა რომ ბოროტებას ბოლო არა ჰქონოდა და რაღაც გაიმედოგნებული თავითონქნებით ჰქიცხებდა უოგელგვარს უზნეობას. „მართალია— ამბობს იგი— ბოროტება ბოროტებად ჩჩება, როგორც აეაღმყოფობა აეაღმყოფობად, მაგრამ აეაღმყოფობაც აქვს ბოლო. საკიროა მხილოთ ჯუროვანი ექიმობა და წამლობა“— და მერე უმატებს: „როგორც ყველგან ოქრო ერთ უერის და თეისების არის ხოლმე ჩინეთში და ამერიკაშიც, აგრეთვე გულის პრინციპები და მოძრაობანი ყველგან ერთი ნაირია, ერთი და იგივე თეისებისაა, კაცი ეყრ შესცელის პატიოსანი და კეთილის გულის თქმას; ევლური ხალხიც კი თავის დედმამას პატივსა სცემს, ჰკიცხავს ბოროტებას და სიცროუენს, მკელელებს სჯის და სხვა... და მერე— „ქვეყანაზედ

ომის უარესი არაფერი არ არის, მაგრამ ყველა ხალხი სიმართლის დასაცელად ებრძებან ერთი მეორეს...

ყველა ფილოსოფოსნი, ზორასტრიდან მოყოლებული ეხლანდელი ლორდ შავტსბერამდე შეხედულებით და მიმართულებით ზნეობრივ სწავლაში და პრინციპებში ერთი და იგივე აზრისანი იყვნენ: სწორე შეხედულებას მაშინ ვიქონიებთ სიმართლეზე და უსამართლოებაზედ, როდესაც შეკიგნებთ რომ ორჯერ ორი ოთხია. მს ასეა და მაშასდამე ყველა კაცს ვალად სძეეს რომ იმან ყოველივე თავისი ცდა მოიხმაროს კეთილის და ზნეობრივის საქმის მოსაქმედებლად” —

ჩენ წინადევ გსთვით, რომ კოლტერს ინგლისში დიდი სარებლობა მოუტანა. მაშინდედი ინგლისური კონსტიტუცია კოლტერს იდეალურ წესწერას და მასწნდა. ამ მისი სიტყვები: „ინგლისური კონსტიტუცია მარტო ერთია მთელს ქვეყანაში, სადაც მეფეს უფლება აქვს კეთილი საქმე აწარმოვოს და იმავე ღროს ბოროტების და ძალდატანების ჩადენას კი მოკლებულია. აქ ყველას შეუძლიან თავის სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს, აქ არ არსებოს ბატონ-ყმობა.”

და თქმა უნდა რომ ამის მნახველს მაშინდედ საფრანგეთის და გერმანიის მართებლობა არ მოეწონებოდა. კოლტერი შეუძგა თავისი ერთი ბოლო მომართებელი ბედ-იღბლის გაუმჯობესობას, რამდენადც კი ეს მრთმა მისთვის შესაძლებელი იყო. მართალია კოლტერის თავისი ბოლო მომართებელი აზრები ერთ წიგნში არ მოუშევრია, მაგრამ ყველა მის წერილებში და ლექსებშიაც ნათლად მოხასის მისი სურვილი და იდეალი.

კოლტერის დრამატიული თხზულებანი საკსენი არიან თავისუფლობის ქებით და ბოლო მომართებელი რეჟიმის დეპნით. კოლტერი თემის თავის თანამედროვეო, მონტესკიეს და რესსოს ბოლო მექედულობაში, უფრო წერილმანებში, არ ეთანხმებოდა, მაგრამ მათ ერთი მიზანი და წადიდი ჭრისდათ...

კოლტერი თხზულობს, რომ ყველაზე სინიდის და სიმართლეს ემთხვებიდებოდეს; თანაუზობს...

სწავლის გამუჯობესობას, სიტუაცის და შექრიბულობის თავისუფალ მოქმედებას და შეურტყევდ სიმართლეს.

გოლტერი როგორც პოეტი ცამდინ აქტეკო ზოგ-ერთს მისს თაყვანის მცემლებს, მაგრამ სიმართლე თხოვდობს გსოფებათ რომ, გოლტერი თითქმის თორმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც დაიწერა ღეჭვების წერა, მაგრამ საზოგადოთ მისი ღეჭვები იძლენს არაფერს არ წარმოადგენს რამდენსაც ღამდარებენ მასზე. საზოგადოდ ფრანცუზული ღეჭვები მრალაც უმნაურ ღემსთ წერას ქმორჩილებიან მათ მომეტებულად რითმის სიმდიდრე აკლია; აკლია აგრეთვე ის ჭარმონია, რომელსაც ჩენ შეგვდებით სხვა ხალხის და ეროვნების პოეზიაში. გოლტერის ღეჭვები არ იყვნენ სიმდევილად პოეტურის ცეცხლით გამოჰარნი. გოლტერი უფრო ჭრიანი პოეტი იყო, ვიდრე პოეტი—ფანტაზიორი; მაგრამ სულ სხვა არის გოლტერის სატირები. აյ სრულიად იშლება მისი ნიჭი, მისი გენიოსობა, ჭრია, სიმასჭილე; სტილი და შესმი ერთ მეორეს ეჭიბრებიან სიმდიდრეში და სიუსებში. სატიროების გოლტერის ბაზალი არც ჰქოლია, არც ჰქონდა და გეონებთ არც ეჭიბრება.

გალივო—ია.



## უ რ ი ე ლ ი კ ა ს ტ ი

(გაგრძელება).

გ ა მ ი ს ვ ლ ა მ ი ს ა მ ი ს .

მანასე, დე-სილვა.

გმადღოს მოსკლისთვის. შენ გსურს მშეიღობა  
ამ წემს სახლშია შემოიტანო...

ერთს ამას კი გთხოვ, ნუ დაიხივდეს!  
ნურც არაფერსა ნუ დამაუგერებ!  
ნურც ნუგეშსა მცემ!...

## ପେଣ୍ଡବ।

ଗାସାନ୍ଧିରି

ହେବି ଖାର ଶେନ୍ଦା! ଶେବେଇ ମାଲାନ  
 ଅରୁଙ୍ଗିନ ଧାରିଦ୍ରା ଆର ପ୍ରିଯେବା  
 ହୁ ଶେନ କି ବୁଦ୍ଧି ଆରୁ ପ୍ରିଯତ୍ରା ଫିମିବା  
 ଆର ପରିଷ୍ଵେବା!..

ପାନୀଶ୍ଵର।

ଶାମିଶ ମନତାତଥିର୍ବିଜନ

ପ୍ରାଣିକାର୍ତ୍ତିକ?

ପେଣ୍ଡବ।

ଶବ୍ଦିଭାବିଲାପିତା

କ୍ଷେତ୍ର ପରିପ୍ରକାଶର।

ପାନୀଶ୍ଵର।

ଶାର-ପୂର୍ବାବସତ୍ୟବିଦୀ

ହୃଦୀ ମହାଦ ବଳି? ମେଣ୍ଟିଲ ମାଲ୍ଲି ମାନ୍ଦିବୀ  
 ପ୍ରାଣିକାର୍ତ୍ତିକିଲି, ରାମ ପ୍ରବନ୍ଧିତିବୀ  
 ଆ ପରିଷ୍ଵେବାର୍ଥି...

ପେଣ୍ଡବ।

ଶବ୍ଦିଭାବିଲାପିତା

ଶେନ ମାତ୍ର କମାଳ, ଏହି ଶେନ ମହିନେ ଶାଶ୍ଵତ  
 ଶାର୍କିମ୍ବନିଙ୍ଗିଲାଇ.

ପାନୀଶ୍ଵର।

କ୍ଷେତ୍ର, ଧାରି, ଧାରି,

ବୁଦ୍ଧି ମତିରାବ୍ଦା, ରାମିଲାଭ କ୍ଷେତ୍ର  
 ମହାକାରୀବୁଦ୍ଧା ମେ ମାନ୍ଦେବ ମିଳିବା  
 ହୁ ବୁଦ୍ଧି ଶେରିଲ ପାଦାବୁ, ରାମିଲାଭ  
 ଶବ୍ଦମତିବ୍ରାଦ ମଧ୍ୟକିନିଲ — ଶେନିଲ ବୁଦ୍ଧିରାବ୍ଦା  
 ଶାର୍କିମ୍ବନିଙ୍ଗିଲାଇ ଶାଶ୍ଵତ, ରାମା?  
 ମାନ୍ଦାଇ ହୁ ମାତ୍ର ମାମିଶର୍ବ୍ରାବ୍ଦା  
 ମେ କ୍ଷେତ୍ର ତାଙ୍କିଲ ଧାରି ମାନ୍ଦିବୀ

და ბირჟაზედაც იმას ცდილობენ  
 ოთვორ მაკნონ და ოთვორ დამღუპონ.  
 იმათ სუჟექტამ გარგად იციან,  
 ოომ რაფი გაჭარს უოველის მხრიდამ  
 გზას შეუკრამენ,—დაიღუპება...

## სილვა.

მოთმინება და იმედი გჭონდეს!

## მანასე.

რის მოთმინება და რის იმედი,  
 ოდესაც ერთად ერთი წამი მე  
 საცხოვრებლიდამ სრულიად დამცრის...  
 თუ ითხაის უნდა დამღუპოს...

## სილვა.

მანასე!

## მანასე.

გმარა!... მხოლოდ ამას გთხოვ,  
 ოომ საქმე დროით დააბოლოვო.  
 გესმის თუ არა? დროითა მეთქი!  
 აკასტრას შენ თვით ელჩპარავა;  
 აუხსენ, იგი ოთვორ მოაქციეს,  
 ოომ ეს ოთხთვებინ რაბინებისა  
 უფრო მეტად არ აგვიყავანდნენ...  
 ურიელიცა... ეხლავ აქ მოგა.  
 უოველის ფერი უთხარ... მე წაგდ...  
 მაგრამ, დე-სილვა, ნუ დამიმაღავ—  
 ჩემს მეტი ხომ აქ არავინ არის+ /.  
 შენ თვითონაც ხომ ეს რაბინობა  
 აგრე რიგათა თვალში არ გიზის...  
 და მართლაც, განა შესაძლო არის  
 გაყით ნამდვილი მართლ-მორწმუნები?  
 შეიძლება, ოომ კაცმა ძველ-ძული,  
 მეცნიერების დასმარებითა,

თავის თავს თვითონ აუხუსულოს  
 და გეაღად ისეგ იქვე მივიდეს,  
 სიდამაც წინად გამოვიდა ის!  
 როდესაც ბაკშებს გასწავდით სწამდეთ,  
 რომ ორჯერ-ორი სუთი არისო, —  
 მე ამაშია არ გესდავ სიბრძნეს;  
 მაგრამ წადი და შეეწყე შენა  
 ფილოსოფიურს მეცნიერებას,  
 რომელიც სარწმუნოებაშია  
 უარს არ წერთვს საიდუმლოებას  
 დროა წავიდე, მე კანტორაში  
 ბეგრი რამა მაქვს საანგარიშო (გადის).

### გამოსვლა მეოთხე.

#### ურიელ და სილვა.

**ურიელ** (კარებში შედგება).

დე-სილვა, მე კარ! დაწევდილს კაცა  
 განა ნება აქეს მიუახლოვდეს  
 წმინდა სულების დამცველს?

#### სილვა.

ურიელ,

უწმინდესი საქმე გაცისა —  
 მოვალეოსა სინადისისა,  
 სამწუხაროდა, არის ის, რასაც  
 იგი არ ეპრძის იშვიათადა  
 და რასაც იგი იშვიათადა  
 აქმს თავის ნებით. მე კი, აჭისტა  
 დაგსაჭე შენა ჩემს უნებურად.

#### ურიელ.

დაბლ, მეც კიცი. შენ ერთად-ერთი  
 გზა დამატოვე გამოსასკლებად

და იმა გზისა არჩება, სიღვა,  
მე არ შემეძლო...

### სილვა.

გულს უხარის, ბ

რომ შენ გულითა კვალად ეგუოგნია  
ისრაილის ქეთ, ოუმც შენს სახუთებს  
მე კრაცხავ საგნის შეფურებლად,  
როგორათაც კოვლი ივდითის ტრიობას  
ეშმაკისაგან მოვდინებულად.  
მაგრამ ასეა თუ ისე არი, —  
მე მაინც უნდა მოგეხადამო,  
გით მომავალსა ჩემსა ნათეხავს,  
და ხელს მით უფრო სიამოვნებით  
გართმევ, რომ რაკი ასე გათავდა  
საჭე, ამსტურდამს პელავ ეურავა  
მაღალა ჰეჭის კაცი.

### ურიელ.

მერე სად

გვთვო მე ეგა? მართალი არის,  
აწ სიუგარული ანგალოსისა  
მომევლინა მე — მაგრამ მითხარი,  
ნება მაჭვს იგი მივითვისო მე,  
რის მითვისებაც ჭანონის მაღით  
არ შეიძლება...

### სილვა.

საჭმეტ ეგ არის,

რომ შეიძლება, მამობარო. დღეს  
სამი გაცისა თათბირს დაესწარ.  
მათ გადასწუგიტეს შენ სასარგებლოდ:  
განდევსტრიატნის სიძუსა ჩვენა  
ძიებ მაცცრად არ მოვაჩნევთა,  
შესანიშებლად როცა მავათ.

წადი უშიშრად აკრძალულს ადგილს.  
 სინაღოლის ქარს სამფერ დაქარი;  
 იქ მოგინდება მცირე ხანს მოცდა,  
 ამ დროს თუ ხალხი შემოგეხვილს,  
 შენ ეს, ურიელ, ნუ შეგაშთოთებს...  
 რა გუერთ? სხვაფრივ არ შეიძლება...  
 მერე გამოვა მოსამსახურე  
 და უფროს რაბინ ბენ-აკიბასთან  
 წაგიუგანს სჯუღში გამოსაცდელად.  
 ასე ინებეს მართათბირეთა.

## ურიელ.

გუდმოდგინებით გიგდებ მე უურსა —  
 და, სწორედ გითხრა, ძალიან მიგვირს.  
 მე მომიუგანეს აქ მხოლოდ მისთვის,  
 რომ შენ, დე-სილვა, მოგესალამო;  
 შენ კი აქ რაზედ მესაუბრები?

## ცილვა.

შენს უარ-უოფაზედა.

## ურიელ.

რაზედა?

## ცილვა.

შენ მართალია ძალიან გიგვირს,  
 მაგრამ იმასაც ნუ დაიკიწებ,  
 რომ მხოლოდ ერთის უარის-უოფით  
 აიცდენ წევდას!...

## ურიელ.

უარის-უოფით?

ეგ სატეგა ისე მენოთირება,  
 რომ თვით ბაგენიც ძლიერსა ჭბედავენ  
 მაგის წარმოთქმას... სილვა, კინ გითხრა,

რომ მე იმედი მაქს განვიწმინდო  
წევდისაგანა?

### სილვა.

ას, ას, ურიელ!

აბა დაფიქტდო, რას ამხობ მაგას!  
ნუ თუ ის გინდა, რომ შენი როტევა  
გულისა ნებად გადააჭრიო?  
შენ იმზუდ ხომ დამეთანხმები,  
რომ ვინც განდგომილს მიათხოვებს ჭალს,  
ორივ ერთია—გითომ ის უთქვამს—  
„მე აღარა გარ ეპრაელიო!“  
ამასთან საღია აგიტებს რასმე,  
თუ რომ მაგ აზრით შენ აქ დარჩები:  
ქრისტიანებიც ჩენ გაგვიწევენ  
მფარველობასა.

### ურიელ.

დიაღ, მეც გატი,

და ამისთვისაც ეხლავე კფიქრობ,  
სადა და როგორ მოკიბოვო მე  
მცირე რამ საქმე, რომ მით შემეძლოს  
ბედ-კრულის ჩემი თავის დარჩენა...  
დე-სიღვა მაინც დამიგდე უური:  
თუ ერთხელაც არის როდისმე  
სთვლიდი შენს თავსა მეცნიერადა,  
თუ ერთხელც არის შენი გონება  
ციურის მადლით გაბრწყინვებულა,—  
კით მეუბნები: „უარი-ჰეავო!“  
აგრე გულგრილად?

### სილვა.

შენანიება

გმირსაც ამშენებს.


ერის შეილი იყოვო. ამას თეიმურაზ ბატონიშვილი მტკიცებ  
ადგა და უეჭვოთ ამტკიცებს. ამ ცნობის თანახმანივე არიან  
უელა ძელი მწერლები და ესენი თითქმის ერთი მეორეს  
მისდევენ ჰაზრისა და ცნობის შეუცელელად. შოველს ამა-  
განს ის ჰაზრი აქვს გატარებული, რომ შოთა რუსთავე  
რუსთავის მთავრის შეილი იყოვო. ამ ცნობების მეორები  
და ჩვენებით ჩვენ შეუდექით თეით ამის გარევევას და შე-  
სწავლას, თუ თამარ მეფის დროს დაბა რუსთავის მთავრა-  
რომელ გვარის პირნი იწოდებიან, მაგრამ ჩვენ ეს ვერ  
„მართლის ცხოვრება“ში ეპოვეთ და ეერც მანუშრის გვა-  
გრაფიაში.

„მართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტის გეოგრაფიაში  
ძალიან ბევრი პირთ სახელები და გვარებია მოხსენებული,  
რომელნიც სამცხის მცხოვრებათა და გამგეთ იწოდებიან  
უელგან, მაგრამ ის კი არ არის ჩვენებული თუ, რუსთავის  
მთავრათ ვინ იყო. უეჭველი საგანი კია, რომ დღეს თუ არ-  
ხვალ მაინც აღმოჩნდება ერთი ამისთანა წიგნი, ზუჯარი, ან  
რაიმე, სადაც მოხსენებული იქმნება სამცხის გამგე-  
გვარი და სახელები და მაშინ უეჭვოდ და შეუცელელად  
მტკიცდება რუსთაველის გვარი და ვინაობა. აღმოჩნდება  
ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც ჩვენ ხშირად შეგვიტა-  
ხოლმე, რომ ძველად ერთი წიგნი აჩსებობდა რომე.  
შიაც აღწერილი იყო სამცხის მცხოვრებთ ქართვე  
თავიადთა, მოხელეთა და მთავართ ამბებიო. მანამ ამის 7  
ხეზ რამე ცნობები აღმოჩნდებიან, მანამდის ჩვენ მოერყე-  
იშას, რისაც შეძლება გვექნება. საქართველოს ისტორი  
„მართლის ცხოვრება“ში და სხვა ისტორიულ წიგნებ  
კეშმარიტებით მოვკითხრობენ, რომ თამარ მეფემ ხად  
რომ გაიმარჯვა, იმ დროს გამარჯვების სახსოვრაო  
„ათა ათასა დამწეუბი“ სთქვაო. ვინა სთქვა ეს „  
ამას „მართლის ცხოვრება“ იქვე არ უჩენებს. ამის ფრინ-  
სხვა ძელი და ახალი მესტორიინც აღიმებენ და სხვათა  
შორის ბროსე და მოსელიანიც მოვკითხრობენ, რომ ხახუ-

ლის მღეთის მშობელზე, წარწერილი მანიაკი შოთა რუსთველმა დასწერაო. მს მანიაკი დაბეჭდილია 1863 წ. გამოცემულ „შეფხვის ტყაოსნის“ ბოლოში. ამ დაბეჭდილის თავზედაც აწერია, რომ „მანიაკი თქმული“ „შოთა რუსთველისგანო“. მს მანიაკი „მართლის სიოდების“ პირველ ტომშიაც არის ჩართული; რომლის თავზედ შემდევი წარწერაა:

„ხოლო დროშა იგი ხალიფასი, რომელი მიიღო შალვა ახალციხელმან წარგზავნა ესე მონასტერისა დიდსა წინაშე ხახულისა ღვთის მშობლისა, მგზავსად მამა-პაპისა მათისა. ვითარება მაშინ დიდსა ღვეითს წარეგზავნა მოძვრ ცეილი ქედისაგან დორებზედ და ყიას-ძეს დიდ გვართა მანიაკი ოქროს შემკული თელებითა ძეირუასითა. მიზეზად ძღვნისა შეწირვისა დამვეღრებლობისა, მანაც ესე ვითარად ესე იამბიკო ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა, „ვახუშტის ისტორიაში ეს მოხსენება „ცოტა განსხვავებით არის მოხსენებული და ამიტომ მოვყეყავს აქევ: „ხოლო წარგზავნა დროშა ათაბაგისა ხახულისა ღვთის-მშობლის წინაშე, ეითარება პაპამან შისმან მანიაკი ყიას ძისა (ძართ.-სიოდებია.) დორებზებისა და ყიას-ძისა (ვ. 319). ესე იამბიკომი ხუთ მუხლედნი ოც-და-ხუთ ლექსად წარწერაო.“

ამ დაილიდგან არა სჩანს ნათლად ის თუ ეინ დასწერა ეს მანიაკი—შაას ძემ, თუ შაას ძეს სხვამ დაუწერა და მხოლოდ შიას ძემ წარგზავნა მგზავსად ქართველთა ძეველთა მამა-პაპათა. ამ ცნობების შეოხებით მე კი შიას ძე თამარ-მეფის მანიაკის დამწერად მიმაჩნდა, და თუ ამაში შემცდარი არა ვარ და ზემოთ მოყვანილი აღვილებიც საჩიტუნოთ გახდებიან სხვათათვის, მაშინ, მაშა სადამე უფრეოდ უნდა მიეიღოთ ის ჰაზრი, რომ შაას ძე რუსთველის გვარი უნდა იყოს. მაგრამ დავანებებ ამას მე თავს და უფრო სხვათა საყურადღებულები გაეხდეთ, რომ მათ განარჩინონ „მართლის სიოდების“ ადგილები და განსაზღვრონ, თუ ეინ არის შაას ძე და აა მას რათ იხსენებენ ისე გამოუკვლეველად შოთა რუსთველის მანიაკის დამწერის ხსენებითა.



იმედია, ეს მიმართვა უყურადღებოთ არ დარჩება და ქართული ისტორიული სკოლის წარმომადგენი მალე და ცხადათ განარჩევს, განსაზღვრავს და აღმოაჩენს იმას, თუ „მართლის-ცხოვრებაში“ მოხსენებული შას აქ ხომ არ არის შოთა რუსთაველი. მე მაინც ამ მოსაზრებას მტკიცე და შეუტყიუელს ხასიათს არ ვაძლევ და გადაფიცეარ მეორე, მაგრამ უფრო საყურადღებო მხარესა დი მასალაზე, რომელიც მოხსენებულია „მართლის-ცხოვრების“ პირეელ ტომის 273 გვერდზედ. თამარ ბეჭის მამის ზიორგის მეფობაში სხვათა შორის მოხსენებულია შოთა ართავაჩოს აქ, მაგალითად აი როგორ;

„მაშინ შეიყარა ლაშქარი (ე. ი. ზიორგის შეფობას) ქალაქით თბილისით და მიმართა, და სომხეთისა მთასა შინა მყოფსა და კვეთნა ძლიერათ იორნა და განაქციენა ღიმიტრი და მიმდომი მისნი: და შეიხვეწნეს ქალაქსა და ციხესა შინა ლორისასა და მთუხენა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი, რაოდენი მას მძლავრებით დაეპყრინეს: მაშინ წარმოუიდეს ღიმიტრის საჩვენებლის, შეილითა და ძმის წულისა მისითა, ძმა და საყვარელი ორბელთა: ესე შეიტკბო და შეიყვარა მეფემან და მისცა მისანდობლობა მზგავსად გვარიშეილობისა მისისა და მომაბრძოველმან ტაშირის და ლორისა ეიღრე კართამდე, დაიბანაკა აგორთა: მაშინ ღიმიტრიმ მყოფმან ციხესა შინა ლორისასა, წარგზავნა ლაშქარი, რომელნიცა დარჩომოდეს ერთგულებასა შინა მისსა და სხვანი თემისა მესხი, თორელნი, ქართველნი, სომხითარნი და თვით გამზრდელი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი კიაბერი და მიეიდეს ქვეყანასა ჰერეთისისა და შუნით მოიხმეს ჰერეთის მრისთავი და ყოველ ჰერნი, სრულითა ლეკითა და შეიქმნეს ომინი ფიცხელნი და მკეთერ-კეთებანი, რამეთუ იყვნეს სარ კერძოვე გამოცდილნი და ლომნი კაბუკნი: ამასა შინა სძლო მსჯავრმან სიმართლისამან, და გაქციენეს ჰერნი დიდებულნი, აზნაურნი და ლეკნი: ხოლო შეიპყრეს ზრიგოლი

სათის-ძე, ფიცხელი და კარგ მეომარი, თეით ხელ-დაკოდი-ლებით და გამოკელითა ცხენისათა. (შეიძყრნეს იმან ვარ-დანისძე, რომელი ითქმოდა პირველთაგან ორ-გულად და მთლად მთხრობლისა, და მასთანა შოთაცა, ძე პრთა-ვის-ძისა. ესენი, ვითარუა შინათ გამცემელნი, განზრას გაა-გებითა, ხელთ-იპყრნეს, წარმოეიღნეს, და მოეიღეს წინაშე შეფისა ლეთივ-დაცულისა. ხოლო განიხარნეს სიხარულითა დიდითა ფრიად ენათგან პედეიდა ღმერთსა თანაშემწედ თეისად ხელს ამპყრობელად და მარად დღე მარჯვეობისა მომცემსა მრავალს მადლისა აღუარებდა.“

მე ერთის მხრით ვფიქრობ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში მოხსენებული შოთა პრთოვაჩის ძე—შოთა რუსთაველი უნდა იყოს. ეს მოხსენება უფრო საფუძვლიანად მიმართა, ერ-დრე პირველი, შიას ძის შესახებ. პრთოვაჩის ძის რუსთავე-ლობას ჩვენ ის უფრო გვაფიქრებინებს, რადგანაც ამ მოხსე-ნების შემდეგ თამარ-დედოფალი ერთობ მალე გამეუდა და აღევიდა ტანტზედ. ასე სულ იქნება ხუთი წელიწადი იყოს გასული, მეტი არ იქნება. მს მოხსენება მე ჩვენს პირველს ბროშურაშიაც უნდა შემეტანა და მელაპარაკნა ამაზე, მაგ-რამ ამის უყურადლებობა ზორგი — ჯანაძის ისტორიაშ მიყო.

ზორგი — ჯანაძის ისტორიის თანხმადევ განმარტავს ჩუბინოვი, რომ შოთა-რუსთაველი რუსუდან დედოფლის მე-ფიბაში იერუსალიმიდგან დაბრუნდა საქართველოში; ზორ-გიჯანაძის ისტორიის თანხმადევ უმატებს, რომ რუსუდან დედოფალმა რუსთაველი თათარ-ხანთადმი ელჩად წარგვანა. ამ მოხსენებასთან ზორგიჯანაძის ცნობებში ბევრი სხვა ის-ტორიული ცნობებია მოხსენებული, რომელნიც უცკოდ ამ-ტკიცებენ რუსთველის შესახებ იმას, რომ იგი სამარ-მეფის შემდეგ რუსუდან-დედოფლის მეფიბასაც უნდა მოსწრებო-დათ. როცა ჩვენ ამ ცნობებს ვკითხულობდით და ვაჩჩედით, მაშინ შოთა პრთოვაჩის ძეც გექონდა სახეში და მასზეც

ტყაოსნის“ 143 ტაქტის ორი სტრიქონი მოუყვანია, სადაც  
გამრეკელიც არის მოხსენებელით, მაგრამ ჰაზრის დაბუნდეის  
გამო სიტყვას ერთი ასო აქვს შეცვლილით, და იმიტომ აღნი-  
შნული გვარი თვის ჰაზრს ჰყარგვასო, მაგალითად უნდა იყოს  
გამრეკელით და არის „გამდრეკელით.“ პი როგორ არის მო-  
ხსენებული:

7 4

## ხალხური ლექსიგი.

უი, შენ-კი გენაცვალე,  
რომ გიღიღინებს უელია,  
გაგიძრიელდეს მოკეთე,  
დაგიძონავდეს მტერია.

ეხლა იქიდან გიახელ,  
გადმოვიარე რაჭაო;  
თქვენსა რომ ღვინო ღვლიე,  
ელზე დამადგა ჭაჭაო.

ბიძია გადამეკიდა, ნიშნობა რათა ჰქენია:  
თუშის ქალზე დავინიშნე, დაბალია და სქელია.  
მოსაუფანათ რომ წაველი, ცხენს მომიწევიტა წელია,  
ავდექ ურემდ შეუბი, ფერსო გატეხა სქელია.  
ზურგზე რო წამოვიყიდე, იმან მამწევიტა წელია,  
მაშინდელს ავადმეოთვობას დღესაც ვერ აუღებია.

მეღვინევ, მოდი მშვენებით—  
 ახალი წელიწადია;  
 საფხე დასხი სტაქნები—  
 ღლეს კაი ლხინი მწაღია.

—  
 ქალო ადი მაღლა ხეზედ,  
 გადმოჟარე ბროწეული;  
 ერთი აქვთ გადმომიგდე,  
 ძენი ხელით მოწეული.

—  
 მეჯვრიხეო, შემკობილო,  
 წინ მინდორო, უკან ტშეო,  
 გოგოების სათამაშო,  
 ბიჭებისა სამოთხეო.

## ქართული თეატრი

თოსმასათს 28 იან. არტისტი ქადა საფარ. ასაშიძ. საბენეფიანი  
 სთა ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იყო ჩვენი  
 სახელოვანი პოეტის ჩაკაის ისტორიული თას—მოქმედებასი  
 დრამატიული პოემა „თამარ ცბიერი“. ამ წარმოდგენამ ერთხელ  
 კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ სცენას ჰყავს ნიჭიერი არტისტები;

ერთსედ ჭაღა დაგვიმტება, რომ თუ ჩემი დასის რიგიანი და  
საქმის მცოდნე რეეისორი ეყოლება — მაღა აღმაღლდება და მიაღ-  
წევს თავის დახიმშეულებას.

ჩემნდა მოუღლონელდ ბს. არტისტებს ასე კარგათ შე-  
ეგნოთ და მოუმზედებინად როლები, რომ არ შეიძლება ეს დღე,  
ეს წარმოდგენა უოკელთვის დიდის სიამოვნებით არ მოვიგონოთ..

ჩემ ვერ წარმოვიდგენდით. რომ ჩემნი დასი შეიძლებდა გა-  
ღებებიდან პიესის ასე კარგათ წარმოდგენას...

გისაც კი თეატრის საქმე სასარგებლო საქმეთ კი მიაჩნია და  
მისა წინ მსკლელობა — ახარების, ის ბევრს ინახებს თუ ამ წარმო-  
გენას არ დაესწრო.

### დრამატიული ხელოვნება.

### გრიმი, ტანთ-საცმელი და სამკაულობა.

როგორც გრიმი, აგრეთვე ტანთ-საცმელს, იარაღს და სა-  
მკაულობას პირეელი ადგილი უჭირავს ტიპის გარეგნულ გა-  
მოსახულობაში. აქაც, როგორც გრიმიროვეკაში უფრო მე-  
ტად საჭიროა გაცნობა იმ დროისა და ეპოქისა, რომელსაც  
ეკუთვნის პიესის მოქმედება, მეტადრე თუ პიესა ისტორიუ-  
ლი და კლასიკურია. როდესაც აკტორმა კარგად იცის ის-  
ტორია და კულტურა იმ დროისა, რა დროსაც ეკუთვნიან პიესე-  
ბის მომქმედი პირი, მაშინ მას არ გაუძნელდება ტანთ-სა-  
ცმელის, იარაღის და სამკაულის ხმარება, რომლის არჩევას  
დიდი სიურთხილი გაროთებს. საზოგადოთ ისტორიული ტანთ-  
საცმელის არჩევა მოქმედი პირისათვის ძრიელ ძნელია და  
არამც თუ აქტორს, არამც თვითონ აქტორს — ისტორია-  
კოსტუმების კი უჭირულება გადაჭრისა აქმა რა დროს რა ნაირი ტა-

ინსამოსი და სამკაულობა ჰქონდათ. მს საცანი უფრო სპეციალისტების საქმეა.

ტან-საცმელი კი ახალი დროისა უფრო აღვილი ასარჩევია, მაგრამ აქაც მართებს აქტორს დაკეირება, რაღან ყოველ წლის შემდეგ, რაღაც „მოდა“ რომ იციან— დაულალავად იცვლებოდა. ზანსაკუთრებით საქმეს აძნელებს ქალების კაბები და სამკაულები—მაგრამ ჯერ ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ აქტორისა ცუდი ან „უმოდა“ ტან-საცმელით გამოსულიყო სცენაზედ—აქტორისები თითქმის ნამეტნავათ ცდილობენ ტანისამოსაზედ.—იმათ ეს უნდა დაიხსომონ, რომ გემო გახსნილი, ესტეტიური გრძნობის მცოდნე მაყურებელი არას ოდეს არ დარჩება კმაყოფილი თუ არტისტკა მარტი თავის ტანის სიშევენიერებედ ჰეთიქრობს და არა ტიპის მართალ გამოსახულობაზედ გარეგნული სამკაულობის მხრით.

ხან-და-ხან როლი თხოულობს, რომ მოთამაშე გამოვიდეს სცენაზედ დავლეჭილი ტან-სამოსით და ზოგს აქტორს დიდ საქმედ მიაჩნია თუ გამოვა სცენაზე, მართლა დავლეჭილ დაფლეთილი ტან-საცმელით. მა ღიდი შეცდომაა.

სასცენო ხელოვნებას მვრად ეჯავრება, ყოველისფერი ძეელი და კუჭყიანი. სცენა არასოდეს არ იყო და არც იქნება ნაბდეილი ჩეენი საყოველდღეო ცხოვრება და სიცოცხლე—უკეთ რომ ესთქვათ: სცენას მიზნათ აქვს გვაჩვენოს გამოხატვით, წარმოდგენით და მიმსგავსებით კაცობრიობის ცხოვრების აღმა-დაღმა ტრიალი და ამიტომაც უგონებთ, რომ ხსენებული აქტორების უადგილო და უხეირო ჩატარებული, გულმოლენება ბუნებრივ გარეგნობაზედ, საქმეს თუ სრულიად არ გააფუჭებს, თავის დღეში წინ არ წასწევს.

ზალებიდან მოყოლებული ქუდამდინ აქტორს ყოველის ფერი შესაფერა, მოწყობილი და სუვთა უნდა ჰქონდეს.

თუ საჭიროა როლისათვის რომ აკტორს კუჭყიანი პერანგი ეცვას სრულებით საკმარისია, რომ პერანგი გახამებუ-

ლი არ იყენეს. მსოფლიო ობიექტობს დახეულ შარვალს — ეს იმას არ ნიშნავს, რომ უთუოდ დახეული უნდა ჩა-აცეს, მუხლები უჩანდეს — ეს შეცდომაა, ურცხობაა. სრულიად კმიტია თუ ახალს შარვალს დაეკერება ზევით რამე ნაკარი, რომელიც დაემსგავსება დახეულს და სინამდეილესაც არ მოშორდება. თუ ყასაბის, ბაზაზის ანუ მიკიტნის ახალუხია საჭირო სცენაზედ, აქედან ის არ გამოდის, რომ აქტორი უთუოდ გაქონილი და დოშით აყროლებული ახალუხით გამოვიდეს.

ერთის სიტყვით, ნურავის ნუ ჰვონია რომ სცენაზედ ჩეენი ნამდეილი ცხოვრების გადატანა შეიძლებოდეს, სცენა არის მხოლოდ ცხოვრების სარკე და არა თვით ცხოვრება.

შიღრე აკტორი სცენაზედ გამოიდოდეს ფარდის ახდა-მდინ უნდა ყველაფერი გაისინჯოს: მაგრათ აქეს იარაღი, პარიკი და სხვა ეკსესუარები თუ არა; — ხშირად ყოფილა ესეთი მაგალითები როდესაც აქტორს სცენაზედ შარვალი ჩა-ჰვეარდნია.

შველაფერი ზომიერად უნდა იყვნეს, კონტათ იჯდეს ტან-ზედ. ერთი შენიშვნა აქტორისებს. მსენი ძალიან ხშირად იც-მენ მოკლე კაბას და ამ რიგათ უეხები კანჭებამდინ მაყურებლისათვის ნათლათ მოაჩანს, ეს ცუდი ჩეეულებაა. რა თქმა უნდა ტეატრში ყოველთვის მოიპოვებიან ისეთი, რომელნიც მაგისთანა შემთხვევას ზეციდან მანანასავით ელიან, მაგრამ სიმართლე ჩეენ კენ არის. —

შერჩატკები, ყელსახვევი და სხვა მაგისთანა რამ ყოველ-თვის წმინდა უნდა იყვნეს. დიდი ყურადღება მიექცევა აგრე-თვე პერანგებს. შემცდარია ის აქტორი, რომელიც ფიქრობს რომ ღამეა და ჩემი პერანგის სისუფთავეს ხალხი ეყრ და-ნახსეს; — ეს ტყუილი იმედია — მაყურებელს არაფერი არ გა-მოეპარება. პთასი კაცი ერთს კაცს როცა მიაჩერდება, მა-შინ ტყუილი იმედია კონდრაბანდით გატანა თავის ნაკლუ-ლევანებისა. წარმოდგენის დროს პერანგი ყოველთვის შეი-ძლება გამოიცვალოს:

იარაღებს ფარადის ახდამდე გასინჯვა უნდა, თორემ ბევრ-ჯერ აქტიონი ძალშედ ეწევა ხანჯალს, მაგრამ მისდა-სამწუხა-როდ ხანჯალი გაკედილია, არ ამოდის ქარქაშიდამ და ამაზე ხალხს სიცილი მოსდის.

ამით დაეაბოლოვებთ ამ წერილს. ზრიმი, ტანთ-საცმელი და სამკაულობა აქტორს ყოველთვის ხეირიანი უნდა ჰქონ-დეს, რადგან ესენი მხოლოდ გარეგნობას შეეხება და ჩაშა სადამე ადვილი შესასრულებელია, თუ კი აქტორი არ დაიზარებს და ხალხის ყურადღებას კრძალეთ მოექცევა.

გ.—ა.



## რ ე ც ა ნ ჭ ე ბ ი

### I

#### მეზობრებზე.

\* \* \* თუ მეგობარი გეაგს, ცოლს ნუ შეირთავ—და თუ შეირთე—მეგობარს დაქშორდი. თორემ შენი მეგობარი ედება, რომ შენი ცოლის გულში უფრო დიდი ადგილი დაიჭიროს და ეს—ძალან საშიშია.

\* \* \* მეგობარმა რომ გითხრას ამა-და-ამ ადგილს მაგ: მარჯვნიდ გავისეირნებთ მედა შენი ცოლო—ნუ ენდობი, თორემ „მარჯვნივის“ მაგიერ მარცხნივ წამევას, და უკედა სიარულში ადვილია წაჭევა.

\* \* \* თუ მშეიდობანი ცხოვრება გიუვარს და შენმა ცოლ-მა დაიწყოს შენი მეგობრის ქება და იმისი დირსების პლწერა—გადაიგარე ისეთ ადაგს, სადაც არც გიცნობენ და არც არა-კის აცხომი; აქ კერავინ გაიციანებს შენს რეგბზე.

## II

\* \* \* დედათა სქესმა უჩვენოდაც კარგათ იცის სად როგორ მოძებულის, ამისათვის მამათა სქესს კატეპი არითვავ სიტყვას.

თუ გინდა ჭაღმა შეგიძლდოს — თავი შეუგარებულად აწერა და სშირად ეღამარაკე შენის გულის გრძნობებზე.

## III

## ფულზე.

\* \* \* თუ არ გინდა რომ შეჲყანაზე გამოშარავდე — ასდად გამდიდნებულს ფულს ნუ ესესხები.

\* \* \* თუ გინდა, რომ კარგს ამსანაგს, მეგობარს და შორ დე — ფული ისესხე იმისგან ან ასესხე.

\* \* \* თუ მაღიან გაჭირებაში ჩავარდი და გინდა, რომ მეგობრები მაიანც არ დაჭიროდ — არც ერთს მათგანს ფული არ ესესხო: არც გასესხებინ და თვითონაც დაგუმორდებას.

\* \* \* ესდანდელი მეგობრობის სამძღვარი თქორო და კურცხლად; ესენი გამოგელია? — შენ მეგობარს სმა აღარ გასცი, თორემ ამით დიდს შეურაცეოფას მაჟუნებ.

## IV

## სამსახურის კაცებს

თუ გინდა სამსახურში დასწინაურდე — რა წამს მისვადე სამსახურში, აიღე ჭაღმი ხელში, მიუჭიქ ხტოლს და, თუ გინდა, სულ ნურაფერს კარგეთებ, ოდინდ, როდესაც შენის უფროსმა ასლოს გამოგიაროს დაიწევ ჯდაბნა. ამისთან არ დაგავიწედეს, რომ თუ უფროსმა რამე სასაცილო ამბავზე დაიწეოს ლაპარაკი — დიდის მოწიწებით დაუგდე უური და როდესაც გაიცინოს (უსათოვოდ გაიცინებს იმირომ, რომ თავის აზრით, ის გიმტეიცებს თავის თავ-მდაბლობას) შენც სულელვით გაიღრიშე. ამისთანა

შემთხვევაში სულელური განვევევა რამდენიმე, კიბეზე აგასტუ-  
ნებს; მაგრამ კედა ამას ისა სჭობს, რომ ის სან-და-სან გაჭირვე-  
ბიდგან დაიხსნა ხოდმე... — ეს იცოდე, თუ სჩექებულს სიკეთეს ნა-  
ხავს შენ ძალიან ხშირად ჩავალდება გაჭირვებაში და რამდენ-  
ჭერაც გამოისხიო — იმდენ ფეხს ასდგამ წარმატების კიბეზე...  
თუ კერც ერთ რჩებას კერ შეასრულებ — საშსასურს თავი დანებებე...  
თუ სხვა საშსასურმა იმოვა რამე ადგიდს — იქ თავი აღარ და-  
ნებო — სანამ არ გაგადებინ.

ଶ୍ରୀପାନ୍ଦିର ମହାନାଥ.

კუირიდან-კუირამდე.

◆ ამერიკულები გასაკვირველი ჩატონია, ერთმა ამერიკულმა მოგონა  
საშეალობა თუ როგორ უნდა გადიოჩადონ სახლის ქირა. ამ პატონშა დაბე-  
ჭდა გაზიერში შეძლევი განცხადება: „ვინც გამოიტავნის 20 პეტრიტს, მე შე-  
ვაცყობინებ თუ როგორ აღვილად შეიძლება ფულის შევნა სახლის პატრი-  
ნის დასაქმაყოფილებილად.“ რასაკვირველია ბევრმა გამოუგზავნა ოც-ოცი  
პეტრიტი, გამოგზავნილი უკლებით გაუსწორდა თავის სახლის პატრინს ქი-  
რაში და გამომგზავნელებს მისწერა: „ოქვენც ისე მოიქციოთ, როგორც  
მე“ — .

◆ ინგლისის გამეობის ძალიან გართობილი უკვენ უქმდევ აშავე-  
ზე ღაპარავით: უკურთხევლი უტარების კონსელიათ ნაშენით პ. მადობ უამ-  
ბით უქმდევ შემთხვევა: როდესაც გრინიალი გრანტი თავის მოგზაურობის  
დროს, მოვიდა ლონდონში—კოროლევამ დაჭარიერი თავისი ცოლით სადო-  
ლით. გრანტის ცოლმა გადაწყვეტით გამოუტანდა მიმატიკე, რომ ო ჩემს  
შევიდოსაც არ დაჭარიერებთ, არც მე წამოვალო. სასახლის მშლებლებმა ბევ-  
რი ფიქრის უქმდევ გადაწყვეტილეს, რომ შეიღიოც დაჭარიერებათ. სადოლი  
გაშალეს მაგრამ ღერერალი თავის ცოლით მიმატიკეს კოროლევას სტოლ-  
ზე და ჰკილი — სასახლის მშლებლების: აფიცერების აღიურება ტექისა და სხვ. სუ-  
კრატე, ახალგაზდა „უქს“ მა მოასხენა: „მე დაწეველი ვარ, როდესაც საზღვრა-  
მებატიკება ვინმე, სასახლოთ უსათვოდ იმასთან ვზიფარ ხოლმე და ერტავ

ისე მოვიქცევი: ან კოროლევასთან, ერთად ვისადიღებ; ან არა და ს ელაც არა გჭამ სადიღსათ. ამაზე მიშმართეს იმის მამას, შაგრამ მამამაც შვილის მხარე დაიჭირა. მეტი ღონე არ იყო კოროლევასათვის უნდა მოეხსენებინათ. ამაზე კოროლევამ ბრძანა: თუ კი აგრე ძალიანა ჭიშკრის ჩემთან ჯდომა — მობრძანდესო... ერთა ზოგი ამბობს რომ, გრანტის შვილი ეზრდელი ყოფილა, რომ სასახლეში მიღებული წესი დარღვება, ზოგი ამბობს, გრანტის შვილს უსწავდება ინგლისულებისათვის — დაპატიჟებული სტუმრების მიღებათ, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. მე ვამბობ რომ ჯები უშორადი ბიჭი<sup>2</sup> ყოფილა

## წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

\* \* \* ერთმა მოხუცებულმა ინიცია სასამართლოში: ჩემი შეიღები არ მინასავენ, ერთ ღუქმა პურს არ მაწვდიანთ და ბოლოს დაუშატა: როცა მოვეკდები რა იმედი უნდა მქონდეს, რომ იმათ დამარცხოთ! მსაჯულმა გადასწევითა, რომ შეიღებს უნდა შეენახათ ეს მოხუცებული და გარდა წევერილების შემდეგ უთხრა მოხივარს: თევენს დამარსებაზე კურ გერაფერს გეტევი თქვენს შვილებს, იქნება დაგმარხონ, ვინ იცის, და თუ არ დაგმარსავენ — საჩივარი შემორტნება.

\* \* \* ერთ ჭარის გაცს ტრაბასობა ძალიან უუგარდა. ზოგჯერ იქამდის გაერთობოდა ხოდმე სიცორუეში, რომ არ იცოდა რას ამბობდა და რას არა. — ამ ვაჭაროსმა ერთხელ დაიდო სმალზე ხედი და თავ მოწონებით სთქვა:

აა ამ სმალით ოშიანობის დროს სამი თათარი ერთად მოვგად და მარჯვენა ხელები დაკაჭერო!

— რატომ თავები არ მოსჭერო, უპასუხეს ამსანაგებმა.

— ბარემ მეც კი მინდოდა თავების დაჭრა, მაგრამ რაღა უნდა მექნა, რომ თავები უპპე მოჭრილი ჭირდათო! მაუგო ტრაბასამ.

\* \* \* ერთმა წევრ-ულგაშ მოპარესულმა გამომძიებელმა მიქმართა  
გამომძების დროს კრთს „რასკოლინებს“: თუ შენი წევრები გრამს,  
თუ სინიდისი უფრო მეტი გაქნეს წევრებზე — მართალი სოჭვიო.

— ბატონი! თუ ქვენ სინიდისს ქზომავთ წევრებით, მაშ  
თქვენ სულ უსინიდისთ ბრძანებულხართო — მიუგო „რასკოლ-  
იკმა.“

### „ოქატრის ფოსტა.“

ოვლა... ვი. გ. ბურ.— ქეთ. ოქვენს წერილს დატერიბია თქვენი ბრძე-  
ნთა — ბრძენობა... ნეტავი იმას, ვისაც თქვენისანა მასწავლებელი ჰქავს...  
ჩვენ წყალში თევზი არ ვაფასებთ, ამისათვის არც უჭი, “— არც „არა!“

### წერილის მასუსად გ. თუმ... შეიდეს.

ექლა გვიან არის: არც დრო გვაქვს და არც აღგილი, რომ პასუხი  
მოგცეთ. კარგად გცოლინათ რომ ეს ნეტერი უკვე ამოწყობილი იყო... ამის-  
თვის გერ-ზევრობით წაიკითხეთ „ივერიის“ წარსული წლის № 102: აი,  
ეს რასა სწერენ: „ეაცის გაბიაპრეება თვისებაა სულელისა. პირ-ფერობა  
თვისებაა მონისა“. .

---

რედაქტორი-გამომცემელი გ. აბაშიძე

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე პ ა ნ ი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამ-  
ხატვრო გაზეთი.

## „მ ა ბ ტ რ ი“

გამოვა 1887 წელსა იმავე პროგრამითა და შინაარსით რო-  
გორც აქვთ, წლის ბოლოს გაზეთი თეატრიდგინ შესწება  
ორი დაზიანებით წიგნი, რომელიც შეიცავს 1664 გვერდს.

თეატრში დაიძენდებიან სხვათა შორის: მოთხოვბანი, რო-  
გორც თორიგინადური აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა  
თარგმანი, შიქსები, ანექლოტები, მოსწრებული სიტუაცია, გასარ-  
თობები, საღამოები და სხვა, სამატემატიკურ გამოცახება, ანდაზები  
გრატიკა, ბიბლიოგრაფია, რეცენზიები და სხვა და სხვა...

რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატულობს რიცხვი სცენის  
მოუკარეთა, ამისთვის რედაქცია თავის შოგალეთათა კრიტიკს და-  
აკმაყოფილობს მათი სურვილი სცენაზე ადგილად წარმოსადგენა  
შიქსების ბეჭდით.

გაზეთ თეატრში მონაწილეობას მიიღებენ ჩეუნი საუკეთესო  
მწერლები.

რედაქციას უკეთ აქვს რამდენიმე ახალი თორიგინადური თხზუ-  
ლება წევნის გამოხენილის მწერლებისა.

 წლიური სერიას წლის მომწერნი წლის დამღებს მიიღებენ სა-  
ჩუქრად თქოს კარაჟას ედა შეკრულს დიდ წიგნს, რომელიც  
შიაც იქნება არა ნაკლებ სამა კლასიკური შიესისა და რომელიც  
ედირება არა სელის მომწერლთვის ური მანეთი.

ფასი გაზეთი თეატრისა: ერთი წლით 5 პ. ნახევარ წლით 3 პ.

რედაქციას კანტორა არის თქრომწედლების ქუჩაზე № 48.  
(სუმინირიას ბირ-და-ბირ.)

ადრესი კარეშე ხელის მომწერლთვის:

Тифліსъ. Контора редакції газеты „ТЕАТРЪ“.  
Серебряная ул. № 48 (противъ Семинаріи).